თავი 4

ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპები და ფუძემდებლური კონცეფციები – ტესტები

1. საღრიცხვო პრინციპები წარმოადგენენ:

ა) რომელიმე სახელმწიფო კანონით მკაცრად განსაზღვრულ ნორმებს;

ბ) საყოველთაოდ გამოცხადებულ სამოქმედო წესებს;

გ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

2. ფულადი განზომილების კონცეფციის თანახმად:

ა) სამეურნეო საშუალებები აისახება მასში შეძენის დროს გადახდილი ფასით;

ბ) რეგისტრირდება მხოლოდ ისეთი ოპერაცია, რომლის ასახვაც შესაძლებელია ფულად გამოსახულებაში;

გ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

3. საწარმოს ავტონომიურობის კონცეფცია გულისხმობს:

ა) ბუღალტრული აღრიცხვა საქმიანობას აფასებს დროის გარკვეულ შუალედში;

ბ) სამეწარმეო სუბიექტის საღრიცხვო ინფორმაცია განცალკავებული უნდა იყოს მისი მფლობელების შესაბამისი ინფორმაციისაგან;

გ) როცა სამეურნეო ოპერაცია მოქმედებს როგორც შემოსავალზე, ასევე გასავალზე, ორივე ზემოქმედება უნდა აისახოს შესაბამისად ერთიდაიგივე პერიოდში.

4. შპს "ლელა"-ს დირექტორმა ლელა სონგულიამ, რომელიც შპს "ლელა"-ს ერთპიროვნული დამფუძნებელია, ორგანიზაციის კუთვნილი ავტომობილი და შპს "ლელა"ს სახელზე გაცემული საწვავის ტალონი გამოიყენა პირადი საჭიროებისათვის.
მიუთითეთ კონცეფცია, რომელიც დაირღვა ამ შემთხვევის დროს:

ა) შესაბამისობის კონცეფცია;

ბ) ავტონომიურობის კონცეფცია;

გ) კონსერვატიზმის კონცეფცია.

5. საწარმოს სადისტრიბუციო საქმიანობისათვის ჰყავს ავტომობილი, რომელიც ასახულია ძირითადი საშუალების ანგარიშზე ღირებულებით 7.000 ლარი. თუ ჩავთვლით, რომ ეს საწარმო ფუნქციონირებადია შეიძლება დავასკვნათ, რომ:

ა) 7.000 ლარი ეს არის ავტომობილის თავდაპირველი ღირებულება;

ბ) 7.000 ლარი ეს არის ავტომობილის მიმდინარე ღირებულება;

გ) 7.000 ლარი ეს არის ავტომობილის საბაზრო ღირებულება.

6. მიუთითეთ ბუღალტრული აღრიცხვის ის კონცეფცია, რომელიც უზრუნველყოფს საბალანსო ტოლობის (აქტივები=პასივების) შენარჩუნებას:

ა) აღრიცხვის ორადობის კონცეფცია;

ბ) არსებითობის კონცეფცია;

გ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

7. როცა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შემოსავლებზე მეტი აღმოჩნდება ხარჯები, საქმე გვაქვს სანგარიშგებო პერიოდის:

ა) მოგებასთან;

ბ) ზარალთან;

გ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

8. ბუღალტრული ტოლობა გულისხმობს:

ა) აქტივები ტოლია ვალდებულებებს დამატებული საკუთარი კაპიტალი;

ბ) აქტივები ტოლია პასივების;

გ) ორივე პასუხი სწორია.

9. ცვლილება, რომელიც მოქმედებს სამეურნეო საშუალებებსა და მათი წარმოშობის წყაროებზე და ცვლის მათ თანხობრივად და თვისობრივად, ეწოდება:

ა) ხარისხობრივი ინფორმაცია;

ბ) სამეურნეო ოპერაცია;

გ) სააღრიცხვო პრინციპი.

10. ბუღალტრული ინფორმაციის მოპოვება ხდება შემდეგი თანმიმდევრობით:

ა) განზოგადება, ჩაწერა-დარეგისტრირება, ფინანსური ანგარიშგების შედგენა;

ბ) ფინანსური ანგარიშგების შედგენა, განზოგადება, ჩაწერა-დარეგისტრირება;

გ) ჩაწერა-დარეგისტრირება, განზოგადება, ფინანსური ანგარიშგების შედგენა.

11. ერთი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საწარმოს საქმიანობის შედეგების ასახვა ხდება:

ა) ბალანსში;

ბ) სააღრიცხვო პოლიტიკაში;

გ) მოგება-ზარალში.

12. სხვაობა, რომლითაც შემოსავლები აჭარბებს ხარჯებს, ბალანსში მოგების სახით აღიარდება:

ა) ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;

ბ) ყოველი სამეურნეო ოპერაციის შემდეგ;

გ) ყოველი თვის ბოლოს.

13. შემოსავლებისა და ხარჯების აღიარების პერიოდი ეყრდნობა:

ა) შესაბამისობის კონცეფციას;

ბ) ორადი ჩაწერის კონცეფციას;

გ) არსებითობის კონცეფციას.

14. რეალიზაციის კონცეფციის თანახმად შემოსავლის აღიარებისათვის აუცილებელი პირობაა:

ა) საქონლის გადაცემა მყიდველის მხარისათვის;

ბ) საქონლის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკისა და სარგებლის გადაცემა მყიდველის მხარისათვის;

გ) შემოსავლად აღიარებული თანხის მიღება მყიდველისაგან.

15. შესაბამისობის კონცეფციის არსი შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

ა) როცა სამეურნეო ოპერაცია მოქმედებს როგორც შემოსავალზე, ასევე გასავალზე, ორივე ზემოქმედება უნდა აისახოს შესაბამისად ერთი და იგივე პერიოდში;

ბ) გასავალი, რომელიც დაკავშირებულია შემოსავლის მიღებასთან, უნდა აღიარდეს ხარჯად შემოსავლის აღიარების დროს, ხოლო დანარჩენი დანახარჯი კი უნდა აღიარდეს ხარჯად პერიოდის შესაბამისად;

გ) ორივე პასუხი სწორია.

16. საქონლის შესაძენად გადახდილი ფული ხარჯად უნდა აღიარდეს:

ა) იმ პერიოდის შესაბამისად, როცა მოხდა მისი შეძენა;

ბ) საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარებასთან ერთად;

გ) ორივე პასუხი სწორია.

17. ინფორმაციის არსებითად ან არაარსებითად დაყოფა:

ა) ინდივიდუალურად წყდება ყველა საწარმოში;

ბ) დამოკიდებულია საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაზე;

გ) ხდება სტანდარტის მიერ შემოთავაზებული საერთო მიდგომის მიხედვით.

ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპები და ფუძემდებლური კონცეფციები - ამოცანები

ამოცანა №1

საწარმო „X“ რომელიც დაფუძნდა 1 აპრილს თვის ბოლომდე ეწეოდა სამეურნეო ოპერაციებს, რომელთა ბუღალტრული აღრიცხვა არ მოუხდენია. ბუღალტერს, რომელიც მიიწვიეს საწარმოში 30 აპრილს დახვდა შემდეგი ინფორმაცია:

1. ***1 აპრილს*** *საწარმოს დამფუძნებლებმა საწესდებო კაპიტალის შესავსებად საწარმოს საბანკო ანგარიშზე შეიტანა 40.000 ლარი;*
2. ***5 აპრილს*** *საწარმომ შეიძინა დანადგარი და გადარიცხა საბანკო ანგარიშიდან 15.000 ლარი;*
3. ***10 აპრილს*** *საწარმომ ბანკთან გააფორმა სესხზე ხელშეკრულება და საბანკო ანგარიშზე ჩამოერიცხა 5.000 ლარი;*
4. ***12 აპრილს*** *შეიძინა საქონელი და გადარიცხა 7.000 ლარი;*
5. ***17 აპრილს*** *შეიძინა კომპიუტერი და საბანკო ანგარიშიდან გადარიცხა 1.600 ლარი.*

დავალება: *თითოეულ სამეურნეო ოპერაციისათვის:*

1. *შეარჩიერთ ელემენტები, რომლებზეც იმოქმედებს ოპერაცია;*
2. *ასახეთ ცხრილში სამეურნეო ოპერაციის მოქმედება შერჩეულ ელემენტებზე ზრდის ან კლების თვალსაზრისით;*
3. *დაიცავით ტოლობა:* ***აქტივი = ვალდებულებებს + კაპიტალი***

1	თარიღი	ოპერაციის შინაარსი	აქტივი		ვალდებულება		კაპიტალი	
			იზრდება	მცირდება	იზრდება	მცირდება	იზრდება	მცირდება
1.	01.04.	დამფუძნებლების მიერ საწესდებო კაპიტალში შენატანის განხორციელება	40.000				40.000	
		სულ:	+	-	+	-	+	-
		ტოლობა	=		+			

ამოცანა №2

საწარმო „X“-მა შემდეგ თვეში, მაისში განახორციელა შემდეგი სამეურნეო ოპერაციები:

1. ***3 მაისს*** *დამკვეთს მიაწოდა 1.500 ლარის საქონელი და რეალიზაციიდან მიიღო შემოსავალი 2.000 ლარი, რომელიც ჩამოერიცხა საბანკო ანგარიშზე;*

2. ***<u>16 მაისს</u>*** *შეიძინა მომწოდებლიდან კრედიტში 11.000 ლარის საქონელი, რომელიც გადახდილი იქნება* ***<u>26 მაისს</u>****:*
3. ***<u>21 მაისს</u>*** *დაფარა ბანკის სესხი 5.000 ლარი;*
4. ***<u>23 მაისს</u>*** *მოახდინა 9.000 ლარის საქონლის რეალიზაცია და მიიღო შემოსავალი 12.300 ლარი. მყიდველმა ფული დაუყონებლივ გადაიხადა სალაროში;*
5. ***<u>25 მაისს</u>*** *გადახდილია სამეურნეო ხარჯების ღირებულება 220 ლარი;*
6. ***<u>26 მაისს</u>*** *საწარმომ გაისტუმრა კრედიტით შეძენილი საქონლის ღირებულება 11.000 ლარი. ფული გადაირიცხა საბანკო ანგარიშიდან.*

დავალება: *თითოეულ სამეურნეო ოპერაციისათვის:*

1. *შეარჩიერთ ელემენტები, რომლებზეც იმოქმედებს ოპერაცია;*
2. *ასახეთ ცხრილში სამეურნეო ოპერაციის მოქმედება შერჩეულ ელემენტებზე ზრდის ან კლების თვალსაზრისით;*
3. *დაიცავით ტოლობა:* ***<u>*აქტივი = ვალდებულებებს + კაპიტალი*</u>***
4. *ასახეთ საბოლოო სურათით რა ქონებრივი მდგომარეობა აქვს საწარმოს* ***<u>30 მაისისთვის</u>*** *და როგორი შედეგი მიიღო საქმიანობიდან მაისის თვეში.*

<u>შენიშვნა:</u> *გაითვალისწინეთ, რომ საწყის ნაშთში უნდა გადმოიტანოთ №1 მავალითის შედეგი.*

1	თარიღი	ოპერაციის შინაარსი	აქტივი		ვალდებულება		კაპიტალი		შემოსავალი	ხარჯი
			იზრდება	მცირდება	იზრდება	მცირდება	იზრდება	მცირდება	იზრდება	მცირდება
		ნაშთი – 01.05.-სთვის								
		სულ:	+	-	+	-	+	-		
		ტოლობა	=		+		+ -			